

1949

№ 18. 08 09 1949. 1949 წ.
გამოვიდეს ბრძანებული „ქართველი“.

ბ ი ბ ა ბ

გამოვიდეს ბრძანებული
ვასი 2 მაის, თბილისი



Обязательный экземпляр

ნახ. გ. ლომიძესა

განა რა იყო ჩაიკი—
დოლარის მეფის პაიკი.
მისმა ჩავარდნამ ტიტოსაც

წამხვევ ნიღაბი მოხადა,
ტრუმენის ოქრო და ვერცხლი
ჯაშუშებს დარჩათ მხრადა.

ანგარიშგი მოზყენებები

ბრიტანთის ტრედუნიონების კონგრესზე არტ. დიკინმა, რომლიც ცდილობდა აღმფოთება გამოეწვია „კომუნისტური წარმომადგენლების“ მიმართ, წაიქითხა პუნქტები ამს. კუნეცოვის მოხსენებიდან, რასაც დელეგატთა უმრავლესობა მქუჩარე ტაშით შეხვდა“.

ნახ. რ. ცუცქირიძისა



— რაშია საქმე? ახეთი აპლოდის მენცები დიკინს არახოდეს ჰქონია!

— საკირველი აქ არაფერია. იგი ციტატებს კითხულობს კუნეცოვის მოხსენებიდან.



სოჭ. ზიგილის (ახალციხის რ-ნი) ქოლგეულისობის თავმჯდომარეს აშხ. ნიკ. გარებილაძეს და ასპინის რ-ნის სოჭ. საროს აგარცოვს გ. გვალევის ანსე

ნიანგი საგონებელს მიეცა, თუ რომელ თქვენგანისათვის მიეძღვნა ჰირველი მოქითხვა. გასაგები მიხეზით იგი ყოყმანობდა, როცა ახალი მესხეთის მისამართით ამზადებდა მოქითხვის ბარათს.

მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ნიანგი აღტაცებულია ყველა მუშაკის საქმიანობით, რომელსაც თავისი ცოდნისა და უნარის გამოყენებით თუნდაც მცირე წვლილი შეაქვს ამ შესანიშნავი კუთხის აღორძინების საქმეში.

მაგრამ არის ზოგიერთი „წვლილი“, რომლითაც ნიანგის ბლტაცება განსაკუთრებულია, იმდენად განსაკუთრებული, რომ იგი საჭიროდ სთვლის ცალკე მოქითხვაში გამოხატოს ეს აღტაცება. ჰოდა აი, გიგზავნით მოქითხვას და ნახვის ნატერას—ორივეს, ფრიად პატივცემულნო ნიკოლოზ და ქრისტეფორე!

ვიცით რა თქვენი მოკრძალებული ხასიათი, დარწმუნებული ვართ მორცვობის ღიმილით ჩაილაპარაკებთ პირველ რიგში თქვენ, ამხანაგო გველესიან:

— მაინც და მაინც რა დიდი ამბავია 80.000 ძირი ვაზის შესახებ ლაპარაკი? ხომ შეიძლებოდა, ესთქვათ, ორჯერ ოთხმოცი ათასი ძირი ნამყენი ვაზის ჩაყრა მოგვესწრო კოლმეურნეობაში?

საკვირველია, საიდან მიხედით, რომ სწორედ იმ ოთხმოცი ათასი ძირი ნამყენი ვაზის შესახებ გვინდოდა გველაპარაკი? მაგრამ თქვენი გმირული გარჯა, ეტყობა, სხვაზე უკეთ გესმით და რამდენადაც გაღმოგვცეს, დამსახურებულად უქმაყოფილოც ბრძანდებით, რომ საროს კოლმეურნეებმა მაღლობა არ გადაგიხადეს მხოლოდ 80.000 ძირი ნამყენი ვაზის განადგურებისათვის.

მართლაც და ხომ შეიძლებოდა მათ ორჯერ ოთხმოცი ათასი ძირი ვაზი დაერგოთ? ხომ გადაურჩათ დალუბვისგან ის, ე. ი. დანარჩენი 80.000 ძირი?

ძველთაგანვე ცნობილია: მევენახე აგრონომმა უნდა იცოდეს, რომ ვაზი სათუთი მცენარეა და ზომაზე მეტი სიცივის, ვსოდეთ, ისეთი მძაფრი ყინვების პირობებში, როგორც ასპინდაში იცის, ვენას არ რწყავენ.

თქვენ, როგორც ახალმა კატე—ძველი შეხედულება უარყავით და კოლმეურნეები აიძულეთ დიდი ყინვების წინ გუბები დაეყანებინათ ახალ ნარგავ ვენახებში. მერე როცა ყინვამ ვაზი მოწვა და თქვენ გისაყვედურეს, მზად გქონდათ პასუხი:

— ასპინდაში შეშა არ არის, თორემ ვენახებში ლუმელებს დავდგამდიო.

რა ენამხვილობაა, რა სილრმეა აზრისა, რა გაქანებაა მოქმედებისა! განა ღირს „რაღაც“ 80.000 ძირი დალუბული ნამყენი ვაზის გახსენება ამ გაქანებასთან?

მეორე მოქითხვა გეკუთხნით თქვენ, პატივცემულო ნიკოლოზ გახეჩილაძეებენ! სოფელ ზიკილიაში თქვენც თავისებური ახალი სიტყვა სთვით. ყველა აგრონომს, ზოოტექნიკოსსა და საერთოდ მესაქონლეს დაუმტკიცეთ, რომ ცხვარს ბინაში არავითარი სისუფთავე არ სჭირდება.

თქვენი კოლმეურნეობის ცხვრის საზამთრო ბინა და მისი ეზო ოთხი წლის განმავლობაში არ დასუფთავებულა. ამან ერთგარი რაციონალური ცვლილება შეიტანა ცხვრის მოვლის საქმეში: მაშინ როდესაც სხვა კოლმეურნეობების ფერმებში პირდაპირ იატაკზე წვანან ცხვრები და ზურგი რომ აპეკვდეთ მოფხანვა არ შეუძლიანთ—თქვენს ბინებში დაგროვილი ნაკელის წყალობით ცხვარი ზურგით პირდაპირ ჭერს ეხება და როცა კი მოეხასიათება თავისუფლად ეხახუნება სახურავს.

მსხვილება საქმენელი ივად რომ გაუხდებათ—სხვები ვეტექიმს მიმართავენ, უვლიან, საკვებს აძლევენ. თქვენ ეს მეთოდიც უარყავით: ავადმყოფი ძროხა საერთო, უსუფთაო ბოსელში გამოამჟყდიეთ, მშიერ-მწყურვალს კარი გამოუკეტეთ და განაცხადეთ:

— თუ სასიკედილოა, რაღა მოვლა უნდა, თუ მოსარჩენია—მოუვლელადაც მორჩება.

თქვენს ფერმას კედელი ენგრეოდა. გაგაფრთხილეს და თქვენ იციეთ:

— დალოცვილო, საცაა ფერმა ნაკელით აივსება და უნდა გავაუქმოთ, კედელს რაღა შეკეთება უნდაო?

ნიანგმა არ იცის, რით ლამთავრდა თქვენი „მეთოდით“ წამოწყებული საქმეები, მაგრამ გაქანებითა და „სიახლით“ ისინი გველესიანის ღუმელების ანთების მეთოდს რომ არ ჩამოუვარდებიან, ეს კი უდავოდ მიაჩნია. ამიტომ იყო, რომ ნიანგი ყოფილობდა—რომელი თქვენგანისთვის მიეკუთვნებინა უპირატესობა მოქითხვისა და ნახვის ნატერას გამოიგანვა.

მიიღეთ თანაბრად და უშეტნაკლებოდ.

— ნიანგ

თბილი

კარგა ხანს იბორგა ლოგინში და მაინც
ვერ დაიძინა.

გვიან დაბრუნდა კოლმეურნეობის კრები-
დან. ჯერ იყო და ვასო ძლიერ დაითანხმა,
რომ პირველად მასზე გაპიროვნებული ნა-
კვეთიდან დაწყებულიყო ყურძნის კრეფა,
ახლა კიდევ მარიკა... რამ გააჯიუტა ეს გო-
გო? ჰმ! ჯერ მე „მაჯობეო“. მოდი და აჯო-
ბე. ის უკვე გმირია და... ჰო და აჯობე.

თვითონაც კარგა ხანს ეძება გმირობა
ფრონტზე, მეტადი ორდენ-მედლებით გაივ-
სო, მაგრამ ფეხში დაიჭრა და სანამ სავსე-
ბით განიკურნებოდა, მისმა ოცეულებმა პოლ-
ტიასი გზაზე გამტვერიანებული ჩექმები ბერ-
ლინში დაბერტყეს. ახლა კი... ჰმ! მოდი და
აჯობე. — სიმინდის თოხნა იყო, ვაზის სხვლა,
დაკავება თუ გაფურჩქვნა — წინ არ გაუშევ
და ყანის მეტა ხომ...

გოქშონიანში მკიდნენ. ორ კაცს თითო
მექნეური მისდევდა, იმან კი, დასწყევლის
ეშმაკმა, სამთან მოიწადინა ძნის შეკვრა.

ჩვეულების კაცი

ნახ. ი. ვაქირელისა



პირველად ჩაიღიმა არსენამ, მაგრამ მუ-
შაობისას რომ დატყუ ის აღქაჯი ალარ
ხუმრობდა, შეუკეთა ცეცხლი ორივე ბიჭს და
გაუტია, მაგრამ რა გამოვიდა! მაინც მი-
ჰყებოდა. სამივეს, გაცოფდა არსენა. გადა-
ირია. ვეფუნივით ტრიალებდა ყანაში, ნამ-
გალსაც ჯამბაზივით ატრიალებდა ხელში.
მტკავლის სიგრძე თავთავები ბეჭებზე სცემ-
ლნენ და უფრო ახურებდნენ ბიჭებს, მაგრამ
(აქაც მაგრამ) საღამო ხანზე ფეხებთანვე
მიუდგა ყვითელჩინხინი და ულოსქემრიანი
უქანასკნელი ძნი.

ეჭ, არადერია, აი, რთველში ვნახოთ.
ვნახოთ რთველში: მარიკა თუ მე. მე თუ ის.
ჯერ მაჯობეო და მერე... და ტკბილმა,
თბილმა გრძნობამ თავიდან კოჭებამდის ჩა-
ურბინა. ჯერ მაჯობეო და მერე... მერე... —
კიდევ შეიშმუშნა სიამოვნებით.

დილით შებმული ურმები გოდრებით, დე-
დაკაცებითა და ბალებით დატვირთული
რუსპირისკენ დაეშვნენ. აქ იყო მთავრი
ბუდე ყურძნისა და ხნიერებიც კი ველარ მა-
ლავლნენ სიამაყისა და სიხარულის გრძნობას.
მარანში კი ქვევრებმა კოლმეურნეთა დე-
ლეგაციას ქუდები მოუხადეს და თავებზე სა-
წურავი მანანები დაიხურეს.

გაიჩხრიალა ქვევრის ძირზე პირველმა
ტკბილმა.

თომას საძროხე ქვაბი შემოედგა ცეცხლზე
უზარმაზარ გაშლებეჭვეშ და ხორცს ქუწავდა
სადილისათვის.

მალ-მალე ამოქენდა იქვე მომდინარე
თურდოს წყლიდან გაღმოგდებულ კარგა მო-
ზრდილ რუდან წყალი და რეცხდა გასისხლია-
ნებულ ხორცს.

დილიდანვე დატრიალდა არსენა. ხან
თომას შველოდა, ხან მქრეფავებს, ხან სავსე
გოდრებს ეზიდებოდა ვაზების მწერივებიდან
საურმე გზაზე და მერე ურმებზე აწყობდა,
ხან თვითონ უძლებოდა ურემს და რუზე გა-
დებულ ხიდამდე მიპერნდა, საიდანაც ბიქე-
ბი ზურგით ეზიდებოდნენ გოდრებს (ურმით
იმას იქით გატანა შეუძლებელი იყო) კარგა
მოშორებით მდგარ მარანში და საწურავებ-
ში სცლიდნენ. იცინოდა, აცინებდა და ერთ
ერთამული შეჭქონდა საღაც შევიდოდა, მაგ-
რამ მარიკა ვერსად დალანდა.



— ეს რა ჩვეულება ჰქონია ხევახტის, — ისე მოეგანი არ ჩააგდო კალათ-
ზი, რომ ორი-სამი მარცვალი პირისკენ არ გაგზავნოს!

— ასე იცის მარაზიაშიც: ხაქონებს ისე არ მიიღებს, რომ ორი-სამი
ნაკერი „ნიმუშად“ სახლისკენ არ გაგზავნოს.

— სად ეშმაკებში წავიდა ის გოგო? — და
ექებდა სადილობამდის. დასხრუნენ საღილად.

წამოვიდა ქარვისფერი ხელადებიდან და
ბელადსა და კოლმეურნეობაკ მწერემელობა. ს
უსურეა, ბარაქა — მიწას და მუშა კაცის მიწას. კ
ვენას და უკვე შექეიფიანებულები იაშალნენ
მოსადილენი.

საღილზე ყველა იყო მწურავებს გარდა.
ისინი იქვე სჭამენ პურს, აღბათ, მარანში,
მაგრამ მარიკა? საღ არის ის?

კიდევ იბორიალა არსენამ ვაზებზი და
კოლმეურნეობის თავმჯდომარები იმშო თა-
თავისთან.

ზერის თავზე გამოვლისას საფერავთან
ჩამუხლულ მარიკას მოჭრა თვალი. მომ-
ხიბლავი ლიმილი ესროლა ქალმა, მაგრამ
არსენა ჭიბალაშეილისკენ გაეშურა.

— სადა ყოფილა. აი, თურმე სადა ყოფი-
ლა! მე კი სად არ ვეძებე. მგონი მარიკა იყო.
მგონი კი არა... ჰო, ჰო, მარიკა იყო მგონი...

რუზე გადებულ ხიდს მისდგომოდნენ
საესე ურმები და ტალიკ-ტალიკი ბიჭები
ზურგზე მოგდებული გოდრებით მიძუნტუ-
ლებდნენ მარნისაკენ.

ამაყად დადიოდა მარანსა და ეზოში თავ-
მჯდომარე ალექსი ჭიბალაშეილი — მეტახე-
ლად „ხელუშა“ და გულდაშით სიჯავდა
ხელში მწვანის, საფერავის, რქაწითელის თუ
ჯანანურას კუმს მტევნებს.

— შენ ამას მიუზიდავ ყურძენს. სხვა ბი-
ჭები ასდიან თავიანთ მწურავებს. შენმა კი...
არ გაჯობოს, არ!

არსენამ ახედ-დახედა საშუალო ტანის
სპეცტანსაცმელში გამოწყობილ მწურავს, რო-
მელიც ზურგით იდგა მისკენ და გამალებით
ატრიალებდა საწურავის სახელურს თავზე
ჭდიამოფხატული.

— ნეტავ არა სცხელა, რაღ უნდა ქუდი?
დასტაცა დაცლილ გოდორს ხელი,

ურმებზე შეაგდო და საესე გაღმოილო.

რამდენიმე გზა გააკეთა, მაგრამ, ჰო სა-
კვირველებავ! არ იქნა და ვერ გაძლო საწუ-
რავის ხახა.

რამდენი დაჭრილი ამხანგი გამოუყანია
ფრონტის ხაზიდან ზურგში. ერთხელ სამი
კილომეტრი ატრა ფორთხვით ზურგზემო-
გდებული ცოცხალ-მკვდარი სეხნიაშვილი და
მაინც ეგრე არ გასჭირებია.

უკერის არსენას ამ თეორი, თითქმის ქა-
ლიშვილივით ნაზი, იდავებამდე დაკარწახე-
ბული შეკვების სიძლიერე. „საკვირველია,
ვინ არი! ფუ! დასწეულა ეშმაქმა, ვის მა-
გიერ ვის ვეჯიბრები?! მაგრამ ძირი ხარ
ყველგან გამარჯვებავ! ბოლოს ჩემი იქნები,
ჩემი იქნები მეთევი!“ — ჯიუტად გაიმეორა და
ახალი გოდორი მიიტანა.

საღამო ხანზე დალლა დატყუ საწურავის
სახელურის დამტრიალებელს და როდესაც
რთველი მორჩია და არსენამ უკანასკნელი გო-
დორი მიიტანა, საწურავის ხეიმირა ნახევარ-
ზეც არ იყო ჩაცილებული.

დადგა გოდორი. აი, გამარჯვებაცაც. ღრმად
შეისუნოთქა დაშაქრული ჰაერი.

— ახლა კი ჩემი ხარ!

დამტრიალებელმა სახელურს ხელი უშვა,
მობრუნდა, ქუდი მოიხადა, წაბლისფერი თმის
ბულულები გაღმოცვიდა იქიდან. აფეთქებუ-
ლი მკერდი მძიმედ აღი-აღდიოდა.

— მარიკა!

ქალი მიუახლოვდა ვაგს, დალლილი თავი
ნაზად მიაყრდნო ფართო მეტრზე და წა-
ჩურჩულა:

— მართალი სთევი, არსენ!

ლალო მართლივი ვალი



შენება და ვერ ეშენდა

(ხ. გვეთი)

ცხაკიას რაიონის სოფ. გეჯესლები დიდ სამამულო ომის დაწყებამდე (ბევრად აღრე) ქლუბის შეუძლობას შეუდგნენ. ამოარჩიეს შინდორი, მიზიდეს უამრავი აგური, კირი და სილა... და რამდენიმე თვეში ქლუბის ერთსართულიანი აგურის შენობა წამოჭიმეს.

უხაროდათ, თავი მოსწონდათ გეჯეთლებს ახალი ქლუბი გვექნებაო, მაგრამ... მშენებლობა ერთ „სართულზე“ გაიყინა...

გვიდა ღრო.

მაგრამ გამოჩნდა ახალი „ენთუზიასტი“ სასოფლო საბჭოს ახალი თავმჯდომარე კირილე ქოხია. დაფაცურდა, მოაზიდვინა ხის მორები, სახურავისათვის საჭირო სხვა მასალები.

— ახალ კი ნამდევილად გვეშველაო,— გაიფიქრეს გეჯეთლებმა.

მაგრამ... კვლავ „მაგრამი“ გადაეღობა წინ ცოცხალ საქმეს. ერთ თვეში დახორგილი ხის მასალისგან ნაფორიც აღარ დარჩენილა...

კირილე მოიხსნა სამუშაოდან. მასალის უგზო-უკვლოდ გაქრობის მიხეზი კი აუხსნელი დარჩა.

...ეს იყო ხუთი თუ ექვსი წლის წინათ. სასოფლო საბჭომ არამდენიმე თავმჯდომარე გამოიცვალა, კლუბის შენობა კი კვლავ დაუმთავრებელია.

მეგობარო ნიანგო, თუ შენ არ მოეშველე გეჯეთლებს, ქლუბის მშენებლობა აღგილდან არ დაიძრის.

ბ. პრაზანაძე

„სწორად გაუგო“

ნახ. 6. მაღაზონიასი



— ამიწონეთ 350 გრამი კარაჟი უქაღალდოდ!
— ესე იგი თქვენ 400 გრამი კარაჟი გნებავთ?

შეგერის სასტუმროშიცა

ამას წინათ ცაგერში მიმართ დროებით, სასტუმროში მოვეჭუე მუზღროდ, განმარტოებით.

ვხარობ... ჩემი თახა
სამოთხედ დავიგულვე,
დავწევ გულარხებინად
და თვალები მივლულე.

დამესიზმრა: — ზეწვივნენ
თითქოს უცხო სტუმრები,
შეტისმეტად თავხედნი,
მეტად უამურები...

გავიდვიძე, რას ვხედავ?
ვნახე ყოვა ხაზარი:
თავს დამსხმლა მწლოლარე
ბალონჯითა ლაშქარი.

თმები ყალყზე დამიდგა,
რისვით წამოვწიე
და გულალშეცოთებულმა
მტერზე შური ვიძე.

შევდექ, როცა „ლაშქარი“
თითქმის სულ მთლად მიისრა,—
დე, ხარობდეს სეანიძე,
გამგე სასტუმრისა.

გიმინა ფილიმონიძე

პატარა დიადოგები

— ვაი, რა სიფთა დაიკარგა!!!

— რაიო?

— ერთი უბილეთო მგზავრი რომ გინახო, პასუხისვებაში მიგცემო... მეგონა სუმრობდა, მეგონა მეტ საზღაურს ითხოვდა, შენც არ მომიკვდე?!, ცეცხლი შემინოთი... რალა მექნა!... მოლარე ჩამოვატარე, ბილეთები შევაძენინე...

— პირის გემო არ ჰქონია..

— პირის გემო რომ ქვინდეს, ეგრე ჩამოხმებოდა?! ორკაპ ჩხირს დამგვანგბია. ხაგისის ფერი დასრგბია!..

— მერე რა დღეს—რალა ეს შემხვდა!.. ამდენი შეზავრი ერთად—არასოდეს მყოლია, არც ასეთი წაწყმედილი შემხვედრია, რაც აქა ვმუშაოდ!..

ეს იყო მიმდინარე წლის ხუთ სექტემბერის რეინიგიშის გორის-სტალინირის შტრიქ, მატარებელში. სარქმელთან მიყუჟულიყვნენ და საუბრობდნენ! კონდუქტორი და ვილაც გულშემატკიცერი.

ეს მართლაც საცარი შემთხვევა იყო, იმ მატარებლის მგზავრებს დიდი ზანია, თუ თითქმის არც ენახათ, რომ რევიზორს ასე ზუსტად შემოწმებინოს ბილეთები, ასე მკაცრად მოაქცეოდეს კონდუქტორს. დიახ, კონდუქტორი კი არა, მგზავრებიც გაჰკვირდნენ ამ უცნაური რევიზორის მოვლენით, გაჰკვირდნენ, რადგან ხშირად სმენითა ასეთი დიალოგი:

რევიზორი— (შემოდის ვაკონში) ბილეთები გასინჯე:

კონდუქტორი— გავშინჯე!..

რევიზორი— უბილეთო ხომ არავინ არის?

კონდუქტორი— არავინ...

რევიზორი— კეთილი!.. (ჩავლის ვაკონს, გადის ბაქანზე) რამდენია?

კონდუქტორი— დღეს ქესატობა—ცხრაა!..

რევიზორი— ჰა, ნუ მიჰქარავ... რის ცხრაო, რის ტოროლა—ვაკონი სავსეა..

კონდუქტორი— საკე მე რას მარგარა, ბილეთები აქვთ!..

რევიზორი— გავსინჯე იცოდე!

კონდუქტორი— უავსინჯები...

რევიზორი— (მეორე ვაკონში გადადის) ჰო, კარგი, კარგი!.. განვითარებლის მოლარეს გავგონებით სხვა დიალოგსაც, ეს კონდუქტორსა და მატარებლის მოლარე არ მივყიდო!.. მაშა აქ რადა გვიღებ!

კონდუქტორი— ვა, ლუკმას მაცლი პირიდან!.. მოლარე— რას ამბობ? ჩემს მოვალეობას ვასრულებ!.. ბაქანზე კაცი ამოვიდა, ბილეთი არ მივყიდო!.. მაშა აქ რადა გარ, მაშა ჯამაგირს რად გიღებ!

კონდუქტორი— ჰო, გიცნობ რა შეილიცა ხარ!.. ხუთი კილომეტრის მანძილის ბილეთს აძლევ და ოცდახუთი კილომეტრისას ახდევინებ!

მოლარე— ეს ჩემი შანსი.

კონდუქტორი— ვაა!.. მე ჩემი შანსი დამნებე!.. მგზავრებს მე მოვურიგდები!

მოლარე— მე პურის ჭამა არ მინდა?!

კონდუქტორი— ერთი თხილის გული ცხრა ძამი გაიყოო!..

მოლარე— კარგი... კარგი...

გარდა იმ წყარი საუბრისა, რომელიც კონდუქტორსა და მშეიდ მგზავრებს შორის სწარმოებს, მოვისმერია ასეთი დიალოგიც:

კონდუქტორი— სად ამოხვედი?

დარდიმანდი ყმაწვილი— ნიგორითში (ან ვარიანში, ან ახალდაბაში, ან თედო-ჭმინდაში, სულ ერთა).

კონდუქტორი— ბილეთი!..

დარდიმანდი ყმაწვილი— ჩაიარე!.. ჩაიარე!..

კონდუქტორი— ბილეთი მეოქი!

დარდიმანდი ყმაწვილი— ბილეთი!.. ემანდ ლამპას ჩაუწიე!.. მართალი კაცივით არ აბრიალებს თვალებს!.. იმას რა ბილეთი მიეცი?!. (მიუთითებს მგზავრზე, რომელმაც ფული მისცა კონდუქტორს).

კონდუქტორი— შე კაც კაცო, ეგებ ფული არა გაქვს!.. ეგრე თქვი!.. ერთი კაცი რა არის, მაგისოვის ნამუსს შევირცხენ? ათიც წამიყვანა უფლოთა!.. დაჯეტი აერ, რა ფეხი დებარ!

ანდა ასეთი დიალოგი:

კონდუქტორი— ეს რაა?!

მგზავრი— ფული!..

კონდუქტორი— სამი მანეთი რა ფულია?!

მგზავრი— სულ ახლოს უნდა ჩამოვიდე!

კონდუქტორი— რის ახლო, რა ახლო!.. სამშანეთიანი მატარებელი სად გინახავს?.. მამაშენის ურემაია?

მგზავრი— ეგრე ფარევ წოლმექ!

კონდუქტორი— მათხოვას!.. მე მათხოვარი როდი ვარ?!. მეორედ მგზავრობა აღარ გინდა!

ასეთი დიალოგები უამრავია, ვაჟებებთ მხოლოდ დამახასიათებელ ნიმუშებს. გვინდიდა გამღვვევებებინა აგრეთვე, თუ რა შემოსავალი აქვს ბრიგადას გორი—სტალინირის ხასე, თუ ვოჭვათ, ისეთი „წაწყმედილი“ რევიზორი ხშირად არ შეხვდათ, როგორც 5 სექტემბერს იყო?.. ვერ გამოესახეთ და ვერ წარმოვიდგინეთ ბრიგადის წლიური შემოსავალი. თუმცა ამის გაგდაციანია იმის განვითარება რადგენ შარალობს გორი—სტალინირის შტოზე!..

დიალოგები ჩაწერა და შენიშვნები დაურთო გვხვდები

„დიდი სიკეთე“

გეგმების არტელ „ინხუნგის“ სასადილოში სინესტისაგან გაფუჭებულ პაპიროსებს ჰყიდიან.
(გ. მიხელიძის კორესპონდენციდან)



მომხმარებელი—თქვენ რომ პაპიროსი მომყიდვეთ, ომი ჰქონდა მოკიდებული...
გამყიდველი—მით უკეთესი! ობისგან პენიცილინს ამზაღებენ და რაკი პაპიროსთან
ერთად პენიცილინსაც გაძლევთ, ზაღლობის შეტი რა გეთქმის!

გარათები ნიანზე

გატივცემულო ნიანზი

სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო-ბოდბის გვერდით მდებარე „დაცული ტყის“ მელიები მოგმართვენ შემდეგი წერილით:

„ქვემო-ბოდბის 26 კომუნარის სახელის კოლმურნეობას აქვს ქათმის ფერმა. ამ ფერმაში საკმაოდ მოიპოვება ქათმები და მათ მიერ დადებული კვერცხები.

კოლმურნეობის საწყობის გამჯეს მიტო კოჭლამაზაშვილს და მოანგარიშე სისოეს ისე გულით უკვართ მრგვალად მოხარული ქათმი და ერბო-კვერცხი, რომ ფერმა გაანახევრეს. გაანახევრეს და ეს კველაფერი სათანადო ოქმის გაფორმებით მელიებს დაგვაძლენ.

ბნელა, პატივცემულო ნიანგო! ქათამი კი, მაგრამ ერბო-კვერცხი რომელ ჩვენს წინაპარს უჭამია, რომ ახლა ჩვენ დავიწყათ პირი?!“

ვფიქრობ დამეტანხმები, რომ მელიების საჩივარი ამ შემთხვევაში უფრო სანდოა, ვიდრე კოჭლამაზაშვილისა და სისოესის არ-ზუმერტები.

ერთ ნიანზი


გაგიგონია, რომ ადამიანი ჯერ გარდაიცვალოს, მერე სახელი დაარქვან და ამის შემდეგ კი დაიბადოს? რასაკვირველია, არ გაგეონებათ.

უამათ ბრუნვის ასეთი უცნაური წესი შემოიღო თბილისის ბერიას რაიონის საბანაო სამართველომ. მან ბინის ქირის გადასახდელი ქვითარი № 887/390 გამოწერა 25 აგვისტოს, ფული ამ ქვითრით სალაროში შევიტანე 23 აგვისტოს, ხოლო აღნიშნული ქვითარი სახლში მომიტანეს 18 აგვისტოს.

შეიძლება ეს შენობის გაუფეხარი იყოს ამ. ნიანგო, უბრალოდ გაგიმარტავ. საბინაო სამართველომ ქირების აკრეფის გეგმა რომ ვადახს ადრე შეასრულოს, ორი კვირის შემდეგი რიცხვით წერს ქვითრებს, ქვითარზე აღნიშნული თარიღის ერთი კეირით ადრე ვიხდით ფულს, ხოლო ქვითარი სახლში მოაქვთ „გამოწერიდან“ ორი კეირით ადრე.

ვის რად სჭირდება ეს კვემალულობა, ამ. ნიანგო?

ლ. შავური



საყვარელო ნიანზი

კლარა ცეტკინის ქ. № 117 სახლში მცხოვრები მოგმართავთ გვიშუამდგომლო უნივერმალის დირექციასთან, რათა მათ შეგვიგერინის ისეთი ქოლგა, რომელიც ჩვენი სახლის სახურავს გადასწვდება.

ალათ მიხვდები, რომ ჩვენი სახლის სახურავი დაცხრილულია და იტყვი ქოლგა, კი არა, მას შეეთება უნდა.

ვიცით, საყვარელო ნიანგო, განა არ ვიცით, მაგრამ ეს ტყუუ-არი ქეშმარიტება რომ ვერ გავაგებინეთ ჩვენი რაიონის კომგანს და წვიმის დროს მაიც ქოლგებით „ვიცავთ“ სახურავს, იმიტომ გადავწევილეთ ერთი მთლიანი ქოლგის ქვეშ მოვაქიოთ ეს სახლი

ამ სახლის შეკეთებაზე თხოვნით ყველა ინსტანცია შევაძებრეთ, თითქმის ყველა ზემდგომი ინსტანციაში დადგენილებაც გამოიტანეს აღნიშნული სახლის შეკეთების თაობაზე, მაგრამ, ჩვენი რაიონის კომგანის გული ვერც ერთმა დადგენილებამ ვერ ააჩვა.

ზანიძე

უნდა მოგვეველო, საყვარელო ნიანგო!

ჩანგარი ჩახემარი

● სოფ. გეგმების კიროვის სახ. კოლმეტურნეობის თავმჯდომარე პეტრე კვეხელავა დაუდევრისა მიხნდა ჩან ბლანტაციების დაცვისა და დამუშავების საქმეში: პირ-უტყვია აზიანებდა ბლანტაციებს, ნიადაგის უხარისხოდ დამუშავების გამო მცირდებოდა.

„ნიანგა“ № 30 ამხილა კვეხელავას დაუდევრობა და მოითხოვა ამ საქმისათვის ურადღების მიეცვა.

საქ. ქ. პ. (ბ) გეგმების რაიონის მდივანი ამს. დ. ჯანჯლავა გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. კვეხელავას გამოეცხადა საყვედლური—პირად საქმეში შეტანით. ჩან ბლანტაციების დასაცავად და ხარისხიანდ დასმუშავებლიდ მილებულია ზომები.

● სატყეო მეურნეობის ცაცაიას განყოფილების ს. ხორშის უბნის ტყის მცველი ჯ. ნორაკია და მეტევეე ბლ. გაბელია ბოროტად იყენებდნენ თნამდებობას, ანიავებ-დნენ ხე-ტყებს, ეწეოდნენ მექრთაშეიბას. „ნიანგმა“ ამხილა მათი ბოროტმოქმედება და მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა.

საქ. ქ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიონის მდივანი ამს. ქ. შარტავა გვატყობინებს, რომ „ნიანგმა“ მოთავსებული კორესპონდენცია დადასტურდა. ნორაკია და გაბელია მონიშნილი არიან. სატყეო მეურნ. ცხაკაიას განყ-ბის უფროს ა. კინწურაშეილს გამოეცადა საყვედლური.



— ხედავ, რა მაგარი ზურგი აქვს ამ ჩვენს დირექტორს!
— მაგარი ზურგი ქისამ იცის, ბიძია, ქისამ!

სარედარცვო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
გ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниангы“. Редакция: № 14. ფოს. 8-10-49

სარედარცვო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
გ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.
სარედარცვო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
გ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.
სარედარცვო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
გ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.
სარედარცვო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
გ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.
სარედარცვო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე,
გ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.